www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 21 დეკემბერი, 2013 წელი. | №3434 (241) | ფასი 50 თეთრი

ზურაბ ჯაფარიძე: „პროკურატურის დეპოლიტიზება მითია"

„თბილისის განვითარების ფონდის" თაობაზე გიგი უგულავას წინააღმდეგ აღძრული საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო და თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს. რაც შეეხება აღნიშნულის გამო ბრალდებულ სხვა პირებს, მათ საქმეებზე რუსთავის სასამართლო იმსჯელებს.

მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ გადაწყვეტილებით უწყებამ თავად ბრალდებულ გიგი უგულავას სურვილიც გაითვალისწინა, რომელმაც განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა განხილულიყო საქმე რუსთავის სასამართლოში, მაშინ როდესაც „თეორიული დანაშაული" თბილისშია ჩადენილი.

თბილისის მერმა დააყენა საკითხი, რომ მის მიმართ მართლმსაჯულება თბილისის საქალაქო სასამართლოს აღესრულებინა.

„2013 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, აიპ „თბილისის განვითარების ფონდიდან სახელმწიფოს კუთვნილი 48 მილიონი ლარის გაფლანგვის ფაქტზე, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო ქ. თბილისის მერის გიორგი უგულავას მიმართ.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

იანუკოვიჩი პოლიტიკური კრიზისის მოგვარებას ცდილობს

ივა შილაკაძე

უკრაინის ხელისუფლებამ რუსეთთან მიღწეული შეთანხმების შემდეგ ფინანსურად ზურგი გაიმაგრა და ახლა ცდილობს, ქვეყანაში დაწყებული მასობრივი გამოსვლები როგორმე ჩააცხროს. პოლიტიკური კრიზისის მოსაგვარებლად პრეზიდენტ იანუკოვიჩს ცალსახად სურს, ოპოზიციასთან საერთო ენა გამონახოს და ამ ეტაპზე ძალისმიერ მოქმედებებს ადგილი არ აქვს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

დეპუტატები პროკურატურაში

საპარლამენტო უმცირესობის წევრები გიორგი ღვინიაშვილი და კახა ბუცხრიკიძე გუშინ მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე იმყოფოდნენ.

ღვინიაშვილი უწყებაში ადვოკატ გიორგი ჩივიაშვილთან ერთად მივიდა. პარლამენტარი პროკურატურამ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე მოწმის სახით დაკითხა.

„ხელისუფლებამ, ნაცვლად იმისა, რომ იმუშაოს და თუნდაც ბიუჯეტის პრობლემებს (ერთ წელიწადში ბიუჯეტს მილიარდი დააკლდა, იმდენი მოახერხა) მიხედოს, აგრძელებს სანახაობას და პოლიტიკური ოპონენტების სრულად განადგურების მცდელობას. მეც და კახა ბუცხრიკიძესაც იმუნიტეტი გვიცავს და შეგვეძლო, პროკურატურაში არ გამოვცხადებულიყავით, მაგრამ ჩვენ არავის ვემალებით, არაფრის გვეშინია და ვინაიდან გირგვლიანის საქმე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს წარმოადგენს, ყველა იმ კითხვას გავცემ პასუხს, რაც გამოძიებას აქვს," - განაცხადა ღვინიაშვილმა პროკურატურის შენობაში შესვლამდე.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე, დეპუტატი კახა ბუცხრიკიძე კი პროკურატურაში დაკითხვაზე ადვოკატ გოგა ონიანთან ერთად გამოცხადდა და აღნიშნა, რომ საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე არ იყენებს მანდატს და მზად არის, პროკურატურის შეკითხვებს უპასუხოს.

დეპუტატების დაკითხვა რამდენიმე საათს გაგრძელდა.

გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, დაკითხვაზე დაბარება პოლიტიკური შოუს ნაწილია და საქმეში პასუხგაუცემელი საკითხი არ არსებობს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

სპეცოპერაცია „ხოდორკოვსკის შეწყალება"

ივა შილაკაძე

«იუკოსის» ყოფილი მფლობელი, პუტინის პირად პატიმრად აღიარებული ექს-ოლიგარქი მიხაილ ხოდორკოვსკი უკვე თავისუფალია და ის გუშინვე გადაფრინდა ბერლინში. შესაძლოა, ის გუშინვე გადასულიყო შვეიცარიაში, სადაც მისი მეუღლე იმყოფება.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ხუთშაბათს დიდი პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ უკვე დერეფანში განაცხადა, რომ მას მიხაილ ხოდორკოვსკიმ შეწყალების თხოვნით მიმართა, რასაც ადრე არ აკეთებდა და ამ თხოვნის დაკმაყოფილებას მალე აპირებს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	7°C --30°C
ქუთაისი	8°C --2°C
ზუგდიდი	8°C - -1°C
ბათუმი	9°C --2°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

წონებში თამაში სანახაობას გაზრდის

გიგა გურასაშვილი

2016 წლის რიო დე ჟანეიროს ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის საჭიდაო სამყაროში შეცვლილ წონით კატეგორიებსა და, ზოგადად, წესების შეცვლას ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) პრეზიდენტის ნენად ლალოვიჩის კომენტარი მოჰყვა. ფილას ხელმძღვანელის აზრით, ეს ცვლილებები ისევ და ისევ ჭიდაობის საკეთილდღეოდ გაკეთდა.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ექვთიმე თაყაიშვილი - 150

დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO) 2013 წელი დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ექვთიმე თაყაიშვილის წლად გამოაცხადა.

ექვთიმე თაყაიშვილი XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და XX საუკუნის 50-იან წლებში მოღვაწეობდა. მან არა მხოლოდ ადგილი მიუჩინა კულტურის უამრავ ძეგლს ეროვნულ საგანძურში, არამედ საფუძველი ჩაუყარა მათ მეცნიერულ შესწავლას და პოპულარიზაციას.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ევროკავშირი საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების დაჩქარებულ ხელმოწერაზე ფიქრობს

ევროკავშირს სურს, საქართველოსთან ასოცირების შესახებ უკვე პარაფირებულ შეთანხმებას ხელი 2014 წლის აგვისტომდე მოაწეროს. ამის შესახებ ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჰერმან ვან რომპეიმ გუშინ ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სადაც ევროკავშირის სამიტის შედეგები შეაჯამა.

„ევროკავშირთან დაახლოების სურვილს იზიარებენ საქართველოსა და მოლდავეთის მოქალაქეები. ჩვენ გვსურს, შეთანხმების ხელმოწერა დავაჩქაროთ და დოკუმენტები აგვისტომდე გავაფორმოთ," - განაცხადა რომპეიმ.

ცნობისათვის - საქარველომ და მოლდავეთმა ევროკავშირთან შეთანხმების პარაფირება 2013 წლის ნოემბერის ბოლოს ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტზე მოახდინეს.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე გამოეხმაურა ევროკომისიის ხელმძღვანელ ჰერმან ვან რომპეის განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებას ხელი შესაძლოა, აგვისტოში ანუ ერთი თვით ადრე მოაწეროს.

ფანჯიკიძის თქმით, ამის შესახებ საუბარი ვილნიუსის სამიტზეც იყო, სადაც არაერთმა დელეგაციამ გამოთქვა სურვილი, რაც შეიძლება მალე მომხდარიყო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. სამიტზე მიღებული ამჟამინდელი დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ ასოცირების ხელშეკრულებას ხელი უნდა მოეწეროს არაუგვიანეს 2014 წლის შემოდგომისა.

ამიტომ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ნებისმიერ დაჩქარებას მიესალმება.

სარეკლამო SMS-ის გაგზავნა შესაძლოა, 10 ათასი ლარით დაჯარიმდეს

?ირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისას, მოქალაქეთა მონაცემების და უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს ამზადებს.

საუბარია შემთხვევებზე, როცა მოქალაქეები კერძო კომპანიებისგან სარეკლამო შეტყობინებებს სმს-ების მეშვეობით იღებენ.

„ამ მხრივ კანონს ხარვეზი აქვს. კანონი ამბობს, რომ მხოლოდ წერილობითი ფორმით უნდა მოითხოვო, თუ გინდა სმს-ების გამოგზავნის შეწყვეტა. ეს ადამიანებისთვის მოსახერხებელი ფორმა არ არის. ამიტომ ვამზადებთ საკანონმდებლო ცვლილებებს. კიდევ ერთი გამოწვევაა ის, რომ კანონი კერძო სექტორის მიმართ ინსპექტირების ნაწილში ძალაში 2016 წლიდან შედის. ჩვენ ამ ვადის გადმოწევა გვინდა, რადგან არსებობს ფინანსური სანქცია, რომელიც კანონშია ჩადებული და თუ მოქალაქე ჩათვლის, რომ პირდაპირი მარკეტინგი მის მიმართ არასწორად განხორციელდა, იგი შეძლებს, ჩვენ მოგვმართოს. აღნიშნულ საკითხს განვიხილავთ და შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ," - განუცხადა ჟურნალისტებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა თამარ ქალდანმა.

მისივე განმარტებით, აპარატის საკანონმდებლო წინადადება, სავარაუდოდ, ის იქნება, რომ რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი, იმავე ფორმით ითქვას უარი პირდაპირ მარკეტინგზე. კანონი ასევე დაარეგულირებს მონაცემთა შეგროვების საკითხს ანუ პირდაპირი მარკეტინგისას ადგილი უნდა ჰქონდეს ღიად გამოხატულ თანხმობას. ასევე, უნდა გამარტივდეს სარეკლამო შეტყობინებაზე უარის თქმის მექანიზმი.

„თუ ორგანიზაცია ამ ვალდებულებას დაარღვევს, ანუ მოქალაქის მოთხოვნის მიუხედავად, მონაცემების დამუშავებას მაინც გააგრძელებს, პირი ჩვენ მოგვმართავს და ჩვენ განვახორციელებთ ინსპექტირებას, რის შემდეგაც მივიღებთ გადაწყვეტილებას 3 000-დან 10 000 ლარამდე ჯარიმის შესახებ," - განმარტა თამარ ქალდანმა.

ზურაბ ჯაფარიძე: „პროკურატურის დეპოლიტიზება მითია"

პირველი გვერდიდან

საქმის მნიშვნელობის და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, 2013 წლის 20 დეკემბერს გიორგი უგულავას ბრალდების სისხლის სამართლის საქმე, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული თბილისის მერის ყოფილი მოადგილის დავით ალავიძის, „თბილისის განვითარების ფონდის" ყოფილი ხელმძღვანელის გიორგი საბანაძის, მერიის შესყიდვების სამსახურის ყოფილი უფროსის ალექსანდრე თაბუაშვილის, ძველი თბილისის ყოფილი გამგებლის დავით ავალიანის და ამ უკანასკნელის მოადგილის დიმიტრი ჩხაიძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო და გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს, - აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

პროკურატურას თბილისის მერისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით სასამართლოსთვის ამ დრომდე არ მიუმართავს.

გიგი უგულავას ადვოკატის განცხადებით, პროკურატურას აღკვეთის ღონისძიებაზე სასამართლოში საქმის შეტანის ვადა შეზღუდული არ აქვს. ამასთან, ადვოკატ გიზო უგლავასთვის ამ დრომდე უცნობია, მთავარი პროკურატურის რომელი გამომძიებელი იძიებს უგულავას საქმეს. ადვოკატისთვის საქმეზე ზედამხედველი პროკურორის ვინაობაც უცნობია.

„იმის გათვალისწინებით, რომ გიგი უგულავა აღნიშნულ საქმეზე ბრალის წარდგენის მომენტში არ დაუპატიმრებიათ, პროკურატურა აღკვეთის ღონისძიების სასამართლოში შეტანის ვადაში შეზღუდული არ არის. ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, როდის შევა საქმე სასამართლოში. ასევე უცნობია, საქმის მთავარი პროკურატურისთვის გადაცემის შემდეგ რომელი გამომძიებელი იძიებს უგულავას საქმეს და რომელი პროკურორი განახორციელებს ზედამხედველობას," - განაცხადა გიზო უგულავამ.

საყურადღებოა, რომ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ 19 დეკემბერს განაცხადა, რომ პროკურატურა გიგი უგულავასთვის აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრებას მოითხოვს.

„გიგი უგულავას შესახებ, როგორც ვიცი, პროკურატურა დაპატიმრებას ითხოვს. დანარჩენი სასამართლოს გადასაწყვეტია. სასამართლოს არავინ უკარნახებს, როგორ უნდა მოიქცეს," - განაცხადა ბესელიამ.

ბესელიას აღნიშნულ განცხადებას საპარლამენტო უმცირესობაში გამოეხმაურნენ.

„ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ ჯაფარიძის თქმით, პროკურატურის დეპოლიტიზება, რის შესახებაც დღევანდელი ხელისუფლება სიამაყით საუბრობს, მითის მეტი არაფერია.

„გუშინ ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში „ქართული ოცნების" ერთ-ერთმა ლიდერმა და, რაც კიდევ უფრო ნიშანდობლივია, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ წინსწრებით დააანონსა, რომ ბატონი უგულავას წინააღმდეგ პროკურატურა აუცილებლად მოითხოვდა პატიმრობის გამოყენებას. მინდა, შეგახსნეოთ, რომ უგულავა უკვე ფიგურირებს ერთ-ერთ საქმეში, რომელსაც სასამართლო განიხილავს. ამ თვეების განმავლობაში უგულავა არ დამალვია გამოძიებას, არ მოუხდენია ზეწოლა არც ერთ მოწმეზე, რამდენჯერმე დატოვა ქვეყანა და დაბრუნდა უკან. ანუ, პროკურატურას არანაირი საფუძველი არ გააჩნია, რომ უგულავასთვის წინასწარი პატიმრობა მოითხოვოს. ის ფაქტი, რომ ქალბატონი ბესელია წინასწარ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ტიპის შუამდგომლობას დააყენებს პროკურატურა სასამართლოს წინაშე, რამდენიმე რამეზე მიუთითებს: ერთი - ცალსახად აჩვენებს იმას, რომ პროკურატურის დეპოლიტიზება, რომელზეც დღევანდელი ხელისუფლება სიამაყით საუბრობს, მითია და მეტი არაფერი; მეორე - გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა ტიპის შუამდგომლობა უნდა დააყენოს „ნაციონალური მოძრაობის" ამა თუ იმ ლიდერის მიმართ, იღებს არა თვითონ პროკურატურა, არამედ „ქართული ოცნების" ლიდერები და მაღალი ალბათობით, ვითომ სამოქალაქო სექტორში გადაბარგებული ყოფილი პრემიერიც; მესამე - ზოგადად დევნის შინაარსი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერების წინააღმდეგ ხორციელდება, წმინდა პოლიტიკური შინაარსის მატარებელია," - განაცხადა ჯაფარიძემ.

როგორც დეპუტატი აღნიშნავს, თუ ვინმეს დანაშაული აქვს ჩადენილი, უნდა დაისაჯოს და ამის შესახებ გადაწყვეტიება არა „ქართული ოცნების" პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, არამედ სასამართლომ უნდა მიიღოს.

„უკანასკნელმა ერთმა წელმა ნათლად დაანახა ყველას, რომ ასეთი ზეწოლით და შანტაჟით ამ პოლიტიკური ძალის განადგურება შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ეს „ქართული ოცნების" დეკლარირებული მიზანია. ეს ყველაფერი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ამ ქვეყანას და მის მომავალს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამის გამო მომავალში პასუხისმგებლობას გაექცევა და ჭორვილაში ან საფრანგეთში დაიმალება, ძალიან ცდება," - განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

ამასთან, საპარლამენტო უმცირესობა პროკურატურასა და პოლიტიკურ გუნდს შორის მოლაპარაკებებზე საუბრობს. „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის გოკა გაბაშვილის შეფასებით, პოლიტიკური გუნდი იმაზე თათბირობს, რა სამართლებრივი ზომები გამოიყენონ გიგი უგულავას წინააღმდეგ.

„ვიდრე პროკურატურას მოქმედება დაუწყია, პოლიტიკურმა გუნდმა იცის, როგორ მოიქცევა პროკურატურა. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური გუნდი თათბირობს იმის შესახებ, რა სამართლებრივი ზომები გამოიყენონ გიგი უგულავას წინააღმდეგ. შესაბამისად, სახეზეა, რომ მთელი ეს პროცესი პოლიტიკურია, სხვა შემთხვევაში, პოლიტიკურ გუნდთან მოთათბირება და მათი ინფორმირება იმის შესახებ, თუ რას მოიმოქმედებს, პროკურატურას არაფერში სჭირდება. ეს სკანდალური განცხადება ამტკიცებს, რომ პოლიტიკური გუნდის გადაწყვეტილებაა, როგორ მოიქცნენ გიგი უგულავას წინააღმდეგ, რადგან იციან, რომ გიგი უგულავა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ერთ-ერთი სერიოზული კანდიდატია," - განაცხადა გაბაშვილმა.

პროკურატურასა და პოლიტიკურ გუნდს შორის მოლაპარაკების შესახებ გაბაშვილის ბრალდება ეკა ბესელიამ უარყო და განმარტა, რომ დეპუტატმა მხოლოდ ვარაუდი გამოთქვა.

„პოლიტიკურ გუნდსა და პროკურატურას შორის არავითარი პოლიტიკური შეთანხმება და თათბირი არ ყოფილა. ამ დროისთვისაც არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ეს უწყება. მე მხოლოდ ვარაუდი გამოვთქვი და იმავე დროს გავაკეთე კომენტარი, რომელიც არასწორად გაშუქდა. მე ვთქვი, რომ ჩვენ არ ვერევით არც პროკურატურის, არც სასამართლოს გადაწყვეტილებაში და ეს მათი საქმეა, თუმცა შემიძლია, ვარაუდი გამოვთქვა," - აღნიშნა ბესელიამ.

ამასთან, ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, მან გიგი უგულავასთვის წაყენებული ბრალდების სიმძიმიდან გამომდინარე ივარაუდა, რომ მთავარი პროკურატურა სასამართლოს თბილისის მერისთვის საპატიმრო ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით მიმართავდა.

„კიდევ ერთხელ ვიმეორებ, აღნიშნულ საკითხზე მმართველ გუნდსა და მთავარ პროკურატურას შორის არავითარი კონსულტაციები არ ყოფილა და არც უნდა გაიმართოს, მაგრამ სხვა საკითხია შეფასება და შემიძლია ვთქვა, რომ აქ არავითარი პოლიტიკური დევნა არ არის. ეს არის კონკრეტული კორუფციული, საკმაო მძიმე ბრალდება. ამ ბრალდებიდან გამომდინარე, როცა 40 მილიონი ლარის გაფლანგვაზეა საუბარი, ლოგიკურად ვმსჯელობ და ვამბობ, რომ შესაძლოა, პროკურატურამ უგულავას მიმართ საპატიმრო ღონისძიების გამოყენება მოითხოვოს, თუმცა შეიძლება, არც მოითხოვოს. ჩვენ ამაში არ ვერევით და არ ჩავერევით. ეს პროკურატურის დისკრეციაა. ასე რომ, ოპონენტების ემოციური და, მე ვიტყოდი, ინტერპრეტირებული განცხადებები, რომ ეს წინასწარი პოლიტიკური გეგმის ნაწილია, აბსოლუტური სიცრუე და არასერიოზულობაა. მათ უნდა მოისმინონ ის კომენტარი, რომელიც მე გავაკეთე, როცა ვთქვი, რომ ჩვენ ამ გადაწყვეტილებაში არ ვერევით და მას პროკურატურა და სასამართლო დამოუკიდებლად მიიღებს," - აღნიშნა ეკა ბესელიამ.

დეპუტატები პროკურატურაში

პირველი გვერდიდან

როგორც ღვინიაშვილი ამბობს, მას გირგვლიანის საქმესთან ის აკავშირებს, რომ ამ პერიოდში თბილისის პროკურორი იყო და აღნიშნულ საქმეს მისი ორგანო იძიებდა. ღვინიაშვილის თქმით, გირგვლიანის საქმეზე თავად პროცესუალურ ზედამხედველობას ახორციელებდა. რაც შეეხება დაკითხვას, ღვინიაშვილის ინფორმაციით, პროკურატურას ტექნიკური შეკითხვები ჰქონდა.

აღნიშნული საკითხის შესახებ განმარტება გააკეთა ღვინიაშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმაც. ადვოკატის თქმით, გიორგი ღვინიაშვილს, როგორც დეპუტატს, იმუნიტეტი აქვს და საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც შეიძლება, დეპუტატს ბრალი წაუყენონ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

NDI პარტიულ რეიტინგებს აქვეყნებს



საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მეორე ნაწილის პრეზენტაცია NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორმა ლუის ნავარომ გუშინ გამართა. ამჟამინდელ შედეგებში ასახულია მოსახლეობის დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიების მიმართ.

2013 წლის 13 ნოემბრიდან 27 ნოემბრამდე პერიოდში ქვეყნის მასშტაბით ქართულენოვან მოსახლეობაში წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე 3,915 პირი პირისპირ ინტერვიუს წესით გამოიკითხა. NDI-ის კვლევებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) აფინანსებს და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC) ატარებს.

ლუის ნავაროს თქმით, მუნიციპალურ არჩევნებამდე NDI სოციოლოგიური კვლევის ჩატარებას კვლავ გეგმავს. რაც შეეხება პოლიტიკური სუბიექტების მიმართ მოსახლეობის ამჟამინდელ დამოკიდებულებას, გამოკითხულთა 61 პროცენტი პასუხობს, რომ მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს კოალიცია «ქართული ოცნება» დგას. სექტემბრის შემდეგ კოალიციის რეიტინგი 11 პროცენტით გაიზარდა. მეორე ადგილს «ერთიანი ნაციონალური მოძრაობა» იკავებს 9 პროცენტით, რომლის რეიტინგმაც 3 პროცენტით იკლო. «ლეიბორისტულ პარტიას» გამოკითხულთა 2 პროცენტი ასახელებს. ასევე, 2-პროცენტიანი მხარდაჭერა აქვს ნინო ბურჯანაძის «დემოკრატიულ მოძრაობას.» «ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობის» მხარდამჭერები 1 პროცენტს შეადგენენ. 14 პროცენტი პასუხობს, რომ მის შეხედულებებთან ახლოს არც ერთი პარტია არ დგას. გამოკითხულთა 5 პროცენტი კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს იკავებს. 4 პროცენტი პასუხობს: «არ ვიცი.» 1 პროცენტი დანარჩენ პარტიებს უჭერს მხარს.

მოწონების მაჩვენებლით ტრადიციულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ლიდერობს 94 პროცენტით. მეორე ადგილს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი იკავებს, რომელიც 74 პროცენტს მოსწონს.

მას მოსდევს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია 72 პროცენტით, ასევე 72 პროცენტია პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მოწონების მაჩვენებელი.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 71 პროცენტს მოსწონს. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი - 65 პროცენტს. ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე - 60 პროცენტს.

ოპოზიციაში მოწონების ყველაზე მაღალი მაჩვენებლი საპარლამენტო უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძეს აქვს, რომელიც 48 პროცენტს მოსწონს. შემდეგ პოზიციაზე 34 პროცენტით „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილია. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი გიორგი თარგამაძე მოსახლეობის 32 პროცენტს მოსწონს.

მოსახლეობის 82 პროცენტის აზრით, საქართველოში ძლიერი ოპოზიციური პარტიის არსებობა მნიშვნელოვანია. ხოლო, გამოკითხულთა 52 პროცენტი ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მიიჩნევს. გამოკითხულთა 8 პროცენტის აზრით, ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტია ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობაა“. 4 პროცენტი „ლეიბორისტულ პარტიას“ ასახლებს. 2 პროცენტი - „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას.“

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის 2 პროცენტს ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ ძალად კვლავ კოალიცია „ქართული ოცნება“ მიაჩნია. 18 პროცენტი ძლიერ ოპოზიციად არც ერთ პარტიას არ მიიჩნევს. 10 პროცენტი პასუხობს: „არ ვიცი.“ 2 პროცენტი სხვა პარტიებს ასახელებს. 1 პროცენტი კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარს ამბობს.

რაც შეეხება საქმიანობის შეფასებას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის საქმიანობას კარგად ან ძალიან კარგად მოსახლეობის 90 პროცენტი აფასებს.

თანამდებობის პირებს შორის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ლიდერობს, რომლის საქმიანობაც კარგად ან ძალიან კარგად მოსახლეობის 51-მა პროცენტმა შეაფასა. შემდეგ პოზიციაზე 51 პროცენტით თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანიაა. მას მოსდევს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი 46 პროცენტით. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის საქმიანობას კარგად ან ძალიან კარგად მოსახლეობის 41 პროცენტი აფასებს.

საქმიანობის შეფასების მონაცემებში ოპოზიციიდან პირველ პოზიციას კვლავ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე იკავებს - მის საქმიანობას კარგად ან ძალიან კარგად მოსახლეობის 25 პროცენტი აფასებს. თბილისის მერის გიგი უგულავას საქმიანობას კარგად ან ძალიან კარგად მოსახლეობის 14 პროცენტი აფასებს.

რაც შეეხება დანარჩენ მინისტრებს, საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის საქმიანობას მოსახლეობის 40 პროცენტი კარგად ან ძალიან კარგად აფასებს. სექტემბრის შემდეგ 10 პროცენტით გაიზარდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს საქმიანობის დადებითი შეფასების მაჩვენებელი და 37 პროცენტი შეადგინა. ენერგეტიკის მინისტრ ვიცე-პრემიერ კახა კალაძის საქმიანობას კარგად ან ძალიან კარგად აფასებს ასევე 37 პროცენტი. სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარის საქმიანობას - 31 პროცენტი. ინფრასტრუქტურის და რეგიონული განვითარების მინისტრ დავით ნარმანიას - 28 პროცენტი.

ინსტიტუტების საქმიანობის შეფასებისას საქართველოს ჯარი ლიდერობს, რომლის მუშაობას კარგად ან ძალიან კარგად მოსახლეობის 64 პროცენტი აფასებს. მე-2 ადგილს 61 პროცენტით პოლიცია იკავებს. მე-3 ადგილზე 50 პროცენტით კოალიცია „ქართული ოცნებაა,“ რომლის მაჩვენებელმაც სექტემბრის შემდეგ 12 პროცენტით მოიმატა.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ 21 პროცენტით არის გაზრდილი ცესკო-ს საქმიანობის დადებითი შეფასების მაჩვენებელი. მოსახლეობის 37 პროცენტი ცესკო-ს საქმიანობას კარგად ან ძალიან კარგად აფასებს.

კვლევაში ასევე მოცემულია შედეგები, როგორ აფასებენ ამა თუ იმ საკითხს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერები. „ქართული ოცნების“ მომხრეთა 64 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველოში ამჟამად დემოკრატიაა, მაშინ როდესაც ამ პოზიციას „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა 39 პროცენტი იზიარებს.

გაცილებით დიდი სხვაობა შეინიშნება უფრო კონკრეტული საკითხების შეფასებისას. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა მხოლოდ 13 პროცენტი მიიჩნევს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში კრიმინალის დონემ მოიმატა. „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეთა 50 პროცენტი კი საქართველოში კრიმინალის ზრდაზე საუბრობს.

საკუთარი ინფორმაცია

უსუფაშვილი „ნაციონალურ მოძრაობას„ პარლამენტში დაბრუნებისკენ მოუწოდებს

გუშინ ბიუროს სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა უმცირესობას საკანონმდებლო ორგანოში დაბრუნებისკენ მოუწოდა. უსუფაშვილი აღნიშნავს, რომ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძეს შეხვდა. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, არის საკითხები, რომელთა გამოც ოპოზიცია პარლამენტის მუშაობაში ჩართვისგან ისევ თავს იკავებს.

შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების მიხედვით, უახლოეს დღეებში პარლამენტის თავმჯდომარე უმცირესობასთან კონსულტაციებს კიდევ გამართავს.

საკუთარი ინფორმაცია

ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობიდან ინვენტარი თბილისში გადმოაქვთ

ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობიდან ინვენტარის თბილისში გადმოტანის პროცესი დაიწყო. გადაზიდვის შესახებ 18 500-ლარიანი ხელშეკრულება პარლამენტის აპარატმა კომპანია „ევროტრანსთან“ გააფორმა, რომელმაც შესაბამისს ტენდერში გაიმარჯვა. ხელშეკრულების გათვალისწინებით, კომპანია „ევროტრანსმა“ გარკვეული ინვენტარი ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობიდან თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში უნდა გადმოზიდოს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელმა ზურაბ მარაქველიძემ განუცხადა, საუბარია დასაწყობებული ინვენტარის გადმოტანაზე.

„ბევრი რამ დასაწყობებულია ქუთაისის შენობაში, რომელსაც პარლამენტი არ იყენებს. მაგალითად, თბილისის პარლამენტის შენობის სასადილოს მოწყობილობა წამოღებულია ქუთაისში და ერთი წელია, საწყობშია. ქუთაისში გადმოტანილია ავეჯი, რომლის გამოყენების საჭიროება ქუთაისში არ არის. ამიტომ ინვენტარი, რომელიც ერთ წელზე მეტია, დასაწყობებულია, ნელ-ნელა თბილისში გადმოიზიდება,“ - განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ზურაბ მარაქველიძემ.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც პარლამენტი თბილისში ამოქმედდება და ამაზე შესაბამისი გადაწყვეტილება სამართლებრივ დონეზე იქნება მიღებული, ავეჯის და ტექნიკის ნაწილს, რომელსაც ახლა ქუთაისში იყენებენ, თბილისში გადმოიტანენ, ნაწილი კი ქუთაისში დარჩება. მარაქველიძე აცხადებს, რომ „ქუთაისის შენობა უვარგის მდგომარეობაში არც ერთ შემთხვევაში არ დარჩება“.

ცნობისთვის - თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში სხდომათა დარბაზების აღდგენის სამუშაოები მიმდინარეობს, რასაც კომპანია „სონი“ ახორციელებს. სრულყოფილად აღჭურვილი დარბაზების ჩაბარებას პარლამენტის აპარატი მარტის ბოლოსთვის ელოდება, თუმცა გარკვეული სამუშაო უფრო ადრეც დასრულდება.

უნდა აღინიშნოს, რომ მმართველი გუნდი საპარლამენტო უმცირესობის პოზიციის გამო დღემდე ვერ ახერხებს იმ საკონსტიტუცო ცვლილებების განხორციელებას, რომლის შედეგადაც პარლამენტის ადგილმდებარეობის შეცვლა და ქუთაისიდან თბილისში გადმოსვლა იქნება შესაძლებელი. პოლიტიკურ კულუარებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პარლამენტის ადგილმდებარეობაზე საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერის სანაცვლოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ვანო მერაბიშვილის გათავისუფლების და პოლიტიკური ლიდერების ხელშეუხებლობის გარანტიების პირობას აყენებს.

ქუთაისის ხელისუფლება ცენტრალური ხელისუფლებისგან 30 მილიონს ითხოვს

ქალაქის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე გუშინ იმ ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი დაამტკიცეს, რომლებსაც ქუთაისის მერია ფინანსთა და რეგიონული განვითარების სამინისტროებში დაფინანსების მისაღებად აგზავნის. პროექტები ქალაქში შიდა კვარტალური გზების მოწესრიგებას, სანიაღვრე სისტემის მშენებლობას, მრავალსართულიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობასა და რამდენიმე საბავშვო ბაღის მშენებლობას ეხება.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელ შოთა მურღულიას თქმით, ცენტრალური ხელისუფლება პროექტების ირგვლივ კონსულტაციებს კვირას გამართავს. ხოლო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქუთაისი იმ რაოდენობის დაფინანსებას მიიღებს, რასაც ეს უკანასკნელი საჭიროდ მიიჩნევს.

ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევა მკვლელობით დასრულდა

შემთხვევა, რომლის შემდეგ ერთმა მძღოლმა მეორე ადგილზე მოკლა, ქუთაისში, ნიკეას დასახლებაში 19 დეკემბერს მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, რომ მკვლელობისთვის ბრალდებული მძღოლი სამართალდამცავებმა ადგილზე დააკავეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

ლონდონის ცენტრში თეატრის ჭერი ჩამოინგრა

ლონდონის ცენტრში მდებარე თეატრ «აპოლოს“ ჭერის ჩამონგრევის შედეგად, სულ მცირე, 76 ადამიანი დაშავდა. «ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, შვიდი მათგანი სერიოზულად არის დაშავებული. ნგრევის დროს თეატრში სპექტაკლი მიმდინარეობდა. მეხანძრეების თქმით, ნანგრევებიდან ხალხის გამოყვანა მოხერხდა. თეატრში ინციდენტის დროს 700 ადამიანი იმყოფებოდა. თეატრის მფლობელმა კომპანიამ მომხდარს «სამწუხარო და შოკისმომგვრელი ინციდეტი“ უწოდა. კომპანია «Nimax Theatres“-ს წარმომადგენლების თქმით, მიზეზების გამოსავლენად გამოძიება დაიწყება. ამ კომპანიას ლონდონში კიდევ 5 თეატრი ეკუთვნის.

სუდანში გაეროს ბაზასთან თავდასხმას სამი ადამიანი ემსხვერპლა

გაეროში ინდოეთის ელჩის ცნობით, სამხრეთ სუდანში გაეროს ბაზასთან მომხდარ თავდასხმას სამი ინდოელი მშვიდობისმყოფელი ემსხვერპლა. «ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ბაზას ნუერები დაესხნენ თავს, რომლებიც სამხრეთ სუდანში სიდიდით მეორე ეროვნებას წარმოადგენენ. ცოტა ხნის წინ ბრიტანეთმა სამხრეთ სუდანიდან საკუთარი მოქალაქეების ევაკუირების შესახებ გამოაცხადა. დედაქალაქ ჯუბადან 150 ბრიტანელის გამოსაყვანად ვერტმფრენები გაიგზავნა. ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კი ამ ქვეყანაში მყოფი ამერიკელების დასაცავად 45 სამხედროს გაგზავნის ბრძანება გასცა. ორშაბათს, საღამოს, სამხრეთ სუდანში შეირაღებული კონფლიქტი დაიწყო, რომელშიც ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის რეიკ მაჩერესა და სახელმწიფოს მოქმედი პრეზიდენტის სალვი კიირას მომხრეები მონაწილეობენ. დაპირისპირებას 500 ადამიანი შეეწირა.

დაღესტნის ვიცე-პრემიერი მოსკოვში დაიღუპა

დაღესტნის ვიცე-პრემიერი გაჯი მახაჩევი და კიდევ ორი ადამიანი მოსკოვში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპნენ. ინფორმაციით, მახაჩევის მეუღლე და სამი შვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ხუთშაბათს, საღამოს კუტუზოვის გამზირზე მომხდარ შეჯახებაში ხუთი მანქანა დაიმტვრა. მოსკოვის პოლიციის ინფორმაციით, მახაჩევი თავად იჯდა იმ მანქანის საჭესთან, სავარაუდოდ, რომლის მიზეზითაც მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. ამ დროისათვის ინციდენტის მიზეზების დასადგენად გამოძიება მიმდინარეობს.

ბრაზილიელები სნოუდენისათვის თავშესაფრის მინიჭებას ითხოვენ

ხუთშაბათს, სან-პაულუში, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის ედუარდ სნოუდენისთვის თავშესაფრის მინიჭების მოთხოვნით დემონსტრაცია გაიმართა, რომელშიც ათობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. დემონსტრანტები იმ შენობასთან შეკრიბნენ, სადაც ქვეყნის პრეზიდენტი დილმა რუსეფი, მინისტრებთან ერთად, ღონისძიებას ესწრებოდა. სნოუდენმა ცოტა ხნის წინ ბრაზილიელ ხალხსა და მთავრობას ღია წერილით მიმართა და ბრაზილიელებს ამერიკის დაზვერვის სამსახურების მიერ ქვეყნის პრეზიდენტის საუბრების მოსმენების გამოძიებაში დახმარებას დაჰპირდა. სანაცვლოდ კი სნოუდენმა პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. სნოუდენს, რომელმაც ამერიკის სადაზვერვო სამსახურების საიდუმლო პროგრამები გამოამჟღავნა, 2013 წლის აგვისტოში რუსეთმა დროებითი თავშესაფარი მიანიჭა.

მომავალში საერთაშორისო სავალუტო ფონდი უკრაინას ნაკლებ თანხას გამოუყოფს

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბორდის განცხადებით, მომავალში უკრაინა ფონდისაგან ნაკლებ თანხას მიიღებს. ბორდის განცხადებით, რომელმაც უკრაინის ეკონომიკის შესახებ რამდენიმე დღის წინ იმსჯელა, უკრაინის მთავრობას მომავალში მოსთხოვენ, სანამ თანხას მიიღებს, ეკონომიკური რეფორმები განახორციელოს. «როიტერის“ ცნობით, ბორდმა აღნიშნულის შესახებ ე.წ «მოსკოვის გარიგებამდე“ იმსჯელა. ცნობისათვის - 17 დეკემბერს რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ უკრანა რუსულ გაზში მესამედით ნაკლებს ფასს გადაიხდის და რუსეთი 15 მილიარდ დოლარს ჩადებს უკრაინის ფასიან ქაღალდებში. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მომავალში აღარ გეგმავს, უკრაინას თანხით დაეხმაროს, თუ ქვეყნის მთავრობა მკაცრ ეკონომიკურ რეფორმებს არ განახორციელებს, მათ შორის, არ შეამცირების ენერგეტიკის სუბსიდირებას. სავალუტო ფონდის 24-კაციანმა ბორდმა კიევს მოუწოდა, შეამციროს დიდი ფისკალური დეფიციტი, ასევე გააძლიეროს საბანკო სექტორი.

მანილას აეროპორტთან სამხრეთ ფილიპინების მერი მოკლეს

პარასკევს შეიარაღებულმა პირებმა მანილას საერთაშორისო აეროპორტთან ფილიპინების ქალაქ ლაბანგანის მერი უკოლ ტალუმპა და კიდევ სამი ადამიანი მოკლეს. თავდასხმის შედეგად ხუთი ადამიანი დაშავდა. ამ დროისთვის ფიპილინების ეროვნული პოლიცია მომხდარს იძიებს. თავდამსხმელები მოტოციკლეტით მიიმალნენ. მათ მოტივები ჯერ უცნობია. ფილიპინების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, აქამდე ტალუმპა მასზე განხორციელებულ თავდასხმებს ორჯერ გადაურჩა - 2010 და 2012 წლებში.

მოამზადა თამთა კახაძემ

იანუკოვიჩი პოლიტიკური კრიზისის მოგვარებას ცდილობს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ვიქტორ პშონკა

პარასკევს ისევ გაიმართა მრგვალი მაგიდა პრეზიდენტისა და ოპოზიციის მონაწილეობით. მაგრამ პროკურატურას ბოლო ერთი თვის მოვლენებზე აღძრული აქვს სისხლის სამართლის, დაახლოებით, 40 საქმე, მათგან ორი საკმაოდ მძიმე მუხლებით - «მოქმედებები, რომლებიც მიმართულია კონსტიტუციური წყობის ძალით შეცვლის ან ხელისუფლების ძალით ხელში ჩაგდებისკენ». ამ საქმეში ოპოზიციის ლიდერებიც გადიან, ოღონდ ჯერ უცნობია, რა სტატუსით - ეჭვმიტანილების თუ მოწმეების. საპროტესტო მუხტმა ბოლო დღეებში აშკარად იკლო, თუმცა კვირას ისევ დანიშნულია „სახალხო ვეჩე“, რომლის შემდეგაც გამოჩნდება, რას აპირებს ოპოზიცია და ხალხი.

ოპოზიციასთან დიალოგი მას შემდეგ გაადვილდა, რაც გუშინწინ უმაღლესმა რადამ მიიღო კანონი მასობრივი აქციების დროს დაკავებულთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ. ამას ოპოზიცია მოითხოვდა და ხელისუფლებაც აქტივისტების გათავისუფლებას დათანხმდა. გუშინ პრეზიდენტისა და ოპოზიციის ლიდერების მონაწილეობით მრგვალ მაგიდასთან შეხვედრა გაიმართა, ისევე როგორც წინა პარასკევს, თუმცა გუშინ საღამოს გაზეთის გამოსვლის მომენტისთვის მედიას არ ჰქონდა ინფორმაცია, მოხერხდა თუ არა მხარეებს შორის რაიმე სერიოზული საკითხის შეთანხმება.

გუშინ პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ევროინტეგრაციისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. მან ხელი მოაწერა უმაღლესი რადას მიერ ჯერ კიდევ 21 ნოემბერს მიღებულ კანონს საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ, რაც ევროკავშირს მოთხოვნებს შორის იყო. მისაღები რჩება კიდევ ორი კანონპროექტი, „პროკურატურაზე“ და ტიმოშენკოს სამკურნალოდ გაშვებაზე.

რუსეთისგან მიღებული ფინანსური დახმარების შემდეგ უკრაინის მთავრობამ, როგორც იქნა, 2014 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების დაბალანსება მოახერხა და პროექტი უმაღლეს რადაში წარადგინა. პრემიერი აზაროვი ამტკიცებს, რომ რუსეთმა უკრაინა გაკოტრებას გადაარჩინა და მთავრობამ რეალისტური ბიუჯეტის შემუშავება შეძლო. წესით, ეს ჯერ კიდევ სექტემბერში უნდა გაკეთებულიყო, თუმცა კრიზისის გამო პროცესი შეფერხდა. ამ ეტაპზე რადამ მხოლოდ ბიუჯეტის განხილვისა და მიღების გრაფიკი დაამტკიცა, რომლის თანახმად დეპუტატებმა შენიშვნები და წინადადებები 8 იანვრამდე უნდა წარადგინონ. კიდევ ერთ კვირაში კი ბიუჯეტის პროექტი პირველი მოსმენით უნდა მიიღონ. ბიუჯეტი მოკრძალებულია. განვითარებისთვის ხარჯები, სულ რაღაც, ერთი პროცენტით იზრდება, მაგრამ სოციალური პროგრამებისთვის გამოყოფილი სახსრები - 7,3 პროცენტით. ექსპერტებმა მას უკვე უწოდეს „შესაჭმელი“ ბიუჯეტი, თან უმთავრესად სწორედ რუსული დახმარება „შეიჭმება“.

პარლამენტის წინაშე უკრაინის გენერალური პროკურორი ვიქტორ პშონკა წარდგა, რომელმაც მასობრივი გამოსვლების დროს მომხდარ ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეებისა და 30 ნოემბრის ღამით დამოუკიდებლობის მოედანზე მიტინგის სასტიკი დარბევის გამოძიების შესახებ ილაპარაკა. ამ ეტაპზე პროკურატურა მხოლოდ იმის თქმას ახერხებს, რომ სამართალდამცავების მიერ მიტინგის დარბევა მომიტინგეთა ნაწილის აგრესიულმა ქმედებებმა გამოიწვია, რომლებმაც სოციალურ სამსახურებს მოედანზე საახალწლო ნაძვის ხის დაყენების საშუალება არ მისცეს და მერის თანამშრომლების მიერ გამოძახებულ სამართალდამცავებსაც წინააღმდეგობა გაუწიეს. პროკურორი ამტკიცებს, რომ ჯერ ვერ ხერხდება იმის დადგენა, თუ კონკრეტულად ვინ გასცა მიტინგის დარბევის ბრძანება. რადიოჩანაწერებში ასეთი ბრძანება არ არის, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ მაღალჩინოსნების დაკითხვამ, ვინც იქ იმყოფებოდა, ჯერ შედეგი ვერ გამოიღო. დაზარალებულებიდან ყველა ჯერ არ დაუკითხავთ და საქმეს ესეც აფერხებს. ცალკე იძიებენ აქციის დროს ჟურნალისტების ცემის ფაქტებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ოპოზიცია დარბევის ბრძანების გაცემას ეროვნული უშიშროების და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ანდრეი კლიუევს აბრალებს. თვით კლიუევი ამას უარყოფს. ამ საქმის გამო უკვე გადაყენეს თანამდებობებიდან კლუევის მოადგილე ვლადიმირ სივკოვიჩი და კიევის საქალაქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალექსანდრ პოპოვი.

გენერალურმა პროკურორმა პშონკამ აგრეთვე თქვა, რომ მასობრივი გამოსვლების დროს მომხდარ ფაქტებზე აღძრულია 40 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის ლენინის ძეგლის ჩამოგდების გამო და საქმეები 109-ე მუხლით (კონსტიტუციური წყობის ძალით შეცვლა ან ხელისუფლების ძალით ხელში ჩაგდება). თუმცა არ დაუკონკრეტებია, ეს საქმეები ვის წინააღმდეგ არის აღძრული. გუშინვე უდიდესი ოპოზიციური პარტია „ბატკივშჩინას“ ლიდერმა არსენი იაცენიუკმა მედიას განუცხადა, რომ ამ მუხლით აღძრულ საქმეში ოპოზიციის ლიდერები ალექსანდრ ტურჩინოვი (იაცენიუკის პირველი მოადგილე), ოლეგ ტაიგნიბოკი („თავისუფლება“), თვით იაცენიუკი და კიდევ 8 ადამიანი ფიგურირებენ. კითხვაზე - არის თუ არა ამ სიაში ვიტალი კლიჩკოც („უდარი“), იაცენიუკმა უპასუხა, რომ ეს დასადგენია. ეს პირები ჯერ არავის დაუკითხავს, ამიტომ მათ არც ის იციან, საქმეში ეჭვმიტანილებად გადიან თუ მოწმის სტატუსით.

კიევის ქუჩებში საპროტესტო აქციებზე მონაწილეთა რაოდენობამ აშკარად იკლო, ეტყობა, ხალხის ნაწილი ამ ეტაპზე ფართომასშტაბიანი აქციების გაგრძელების აზრს ვეარ ხედავს. კვირას, 12:00 საათისთვის ოპოზიციამ ისევ მოიწვია „სახალხო ვეჩე“ (სახალხო კრება), სადაც ბევრი რამ გაირკვევა. გუშინ ცოტა ხნით შსს-ს სპეცრაზმების ავტობუსებს გადაკეტილი ჰქონდათ დამოუკიდებლობის მოედანზე მისასვლელი გზები, კერძოდ ცენტრალური გამზირი ხრეშჩატიკი ევროპის მოედნის მხრიდან, თუმცა შემდეგ ავტობუსები გაიყვანეს. როგორც ირკვევა, სამართალდამცავებმა ეს ხელისუფლების მომხრეთა კოლონის ჩავლისას უსაფრთხოების დასაცავად გააკეთეს. იანუკოვიჩის მომხრეებმა აქციის გასამართად გუშინ უმაღლეს რადასთან გადაინაცვლეს.

სპეცოპერაცია „ხოდორკოვსკის შეწყალება„

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამის შესახებ ჩვენ გუშინ უკვე ვწერდით. პარასკევს კი მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. პუტინმა შესაბამის ბრძანებას დილით მოაწერა ხელი, ბრძანება მაშინვე შევიდა ძალაში და ხოდორკოვსკიც სეგეჟის კოლონიიდან მაშინვე გაათავისუფლეს. მან უცხოეთში წასასვლელად დოკუმენტების გაფორმება ითხოვა და ესეც ოპერატიულად მოუგვარეს. ყოფილი პატიმარი ვერტმფრენით უახლოეს აეროდრომამდე გადაიყვანეს. იქ მას კერძო თვითმფრინავი ელოდებოდა, რომელიც მისთვის გერმანიის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს დიტრიხ გენშერმა შეუკვეთა. გენშერი ხოდორკოვსკის ბერლინის აეროპორტში პირადად დახვდა. პუტინის განცხადებამდე არც ადვოკატებმა, არც შეწყალების კომისიამ და, მით უმეტეს, არც მედიამ არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ ხოდორკოვსკიმ შეწყალება ითხოვა. ეს, ადამიანის უფლებათა დამცველების განმარტებით, იმაზე მიუთითებს, რომ მთელი პროცედურა სპეცსამსახურების ხაზით გაკეთდა.

პუტინის პრესმდივან დმიტრი პესკოვის თქმით, რადგან ხოდორკოვსკიმ შეწყალება ითხოვა, ამით მან ბრალი აღიარა. უკვე ბერლინში მიხაილ ხოდორკოვსკიმ გააკეთა განცხადება, რომ პუტინს შეწყალების თხოვნით ნოემბერში მიმართა ოჯახური პირობების გამო - მას დედა ჰყავს მძიმედ ავად, თუმცა ბრალის აღიარებაზე ლაპარაკი არ ყოფილა. მან მადლობა გადაუხადა პუტინს თხოვნის დაკმაყოფილებისთვის, ჰანს დიტრიხ გენშერს «იუკოსისა» და მის საქმეში პირადი მონაწილეობისთვის. აგრეთვე განაცხადა, რომ იბრძოლებს სამართლიანობისთვის და იმ ადამიანებისთვის, ვინც ციხეებში უსამართლოდ იხდის სასჯელს.

უფრო ვრცელ სტატიას ხოდორკოვსკის შეწყალების საქმესა და პრეზიდენტ პუტინის შესაძლო მოტივებზე ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ.

რუსეთი გაეროში ასადს ისევ ხელს აფარებს

თამთა კახაძე

«როიტერის“ ინფორმაციით, ხუთშაბათს რუსეთმა გაეროს უშიშროების საბჭოს განცხადება დაბლოკა, რომელშიც სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მთავრობა მოქალაქეების, მათ შორის, ბავშვების წინააღმდეგ რაკეტებისა და ე.წ «კასრის ბომბების“ (ეს არის ცეცხლგამჩენი ნივთიერებებით არის სავსე ბომბები, რომლებსაც ვერტმფრენებიდან ყრიან) გამოყენებისთვის არის დაგმობილი. ამას ვაშინგტონის მკაცრი რეაქცია მოჰყვა: «ძალიან იმედგაცრუებულნი დავრჩით იმის გამო, რომ უშიშროების საბჭოს განცხადება, რომელშიც სირიის რეჟიმის მიერ საკუთარი მოქალაქეების მიმართ სასტიკი ქმედებაა დაგმობილი, დაიბლოკა. უშუშროების საბჭოს, სულ მცირე, ამ სისასტიკის დაგმობა მაინც უნდა შეეძლოს,“ - განაცხადა გაეროში ამერიკის მისიის წარმომადგენელმა კურტის კუპერმა. მას არ დაუკონკრეტებია, ვინ დაბლოკა განცხადება, თუმცა უშიშროების საბჭოს რამდენიმე დიპლომატმა აღნიშნა, რომ რუსეთის დელეგაცია მოითხოვდა, ამ განცხადებაში სირიის მთავრობა ნახსენები არ ყოფილიყო. გაეროში რუსეთის მისიის წარმომადგენელმა ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთა. რუსეთმა, ჩინეთთან ერთად, გაეროს უშიშროების საბჭოში ბოლო ორი წლის განმავლობაში სამჯერ დაბლოკა ისეთი რეზოლუცია, რომელიც ასადის მთავრობის მიმართ სანქციების დაწესებას ითვალისწინებდა.

ამ კონკრეტული განცხადების საფუძველი იყო ასადის ძალების მიერ ალეპოს ერთ-ერთი რაიონის ხანგრძლივი დაბომბვა, რომელიც ერთ კვირაზე მეტხანს გრელდებოდა. ამ მასირებული საჰაერო იერიშის შედეგად რამდენიმე ასეული ადამიანია დაღუპული, მათ შორის ქალები და ბავშვები. გასულ კვირას ასეთი ავიადარტყმა სკოლას მიაყენეს.

ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება 2011 წლის მარტში დაიწყო, რაც ნახევარ წელიწადში სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ამას ომს, გაეროს მონაცემებით, სულ ცოტა, 100 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა. არის სხვა, ჯერ დაუდასტურებელი მონაცემებიც, რომლის თანახმადაც, მსხვერპლის რაოდენობა 130-დან 140 ათასამდე მერყეობს. სირიის შესახებ სამშვიდობო კონფერენცია «ჟენევა 2“, რომლის ორგანიზატორებიც ამერიკა და რუსეთი არიან, 2014 წლის 22 იანვრისთვის არის დანიშნული.

ჰეფნერის ბიოპიკი

„პლეიბოის“ დამაარსებელზე ფილმს იღებენ

სოფიო ნემსაძე

მსოფლიოში ძალიან ცოტა ადამიანიღა დარჩა, რომლებმაც რეალურად შექმნეს საკუთარი ეპოქა და, შესაბამისად, კინობიოპიკსაც იმსახურებენ. ერთ-ერთი მათგანია ჰიუ ჰეფნერი, „პლეიბოის“ დამაარსებელი, რომელმაც კურდღლის ლოგოიანი ჟურნალით გადატრიალებებით, ტექნოლოგიური ნოვაციებით, ნამდვილი თუ მენტალური რევოლუციებით სავსე მეოცე საუკუნეში საკუთარი კვალი იმაზე მკაფიოდ დატოვა, ვიდრე ზოგმა პოლიტიკოსმა ან მონარქმა. ამიტომ სულაც არ გახლავთ გასაკვირი, რომ ამ ადამიანის შესახებ ფილმს იღებენ, მისი განსახიერების უფლებისთვის კი ჰოლივუდის საუკეთესო ვარსკვლავები იბრძვიან.

ჯერჯერობით ცნობილია, რომ ჰიუ ჰეფნერის როლის მორგება სურთ რობერტ დაუნი ჯუნიორსა და ჰიუ ჯეკმანს, თუმცა ვარაუდობენ, მას შემდეგ, რაც პროქტმა რეჟისორი შეიძინა, „პლეიბოის“ მამის როლის ქასტინგი უფრო მსუყე გახდება.

ფილმს სტუდია Warner Bros. იღებს, რეჟისორის შესახებ ინფორმაციას ამ სტუდიის გავრცელებულია: ჰეფნერის ბიოპიკს დევიდ დობკინი გადაიღებს, რეჟისორი, რომლისთვისაც ჰეფნერის შესახებ გადაღებული ფილმი ალბათ ყველაზე სერიოზული იქნება, რადგან მის ფილმოგრაფიაში ძირითადად რომანტიკული კომედიების (უფრო რომანტიკული, ვიდრე კომედიების) სახელწოდებები იკითხება: „ქორწილის დამანგრეველი“, „შეცვლა“ (The Change-Up) და ასე შემდეგ. სცენარს კი გაცილებით სერიოზული ფილმებით ცნობილი პიტერ მორგანი წერს, რომლის კალამსაც „ფროსტი/ნიქსონის“, „შოტლანდიის უკანასკნელი მეფის“, „დედოფლის“, „ქროლვისა“ და „სხვა გოგონა ბოლეინის“ სცენარები ეკუთვნის. თუ ამ ფილმებს გავიხსენებთ, ეჭვიც კი არ არსებობს, რომ პიტერ მორგანს ბიოგრაფიის კინოადაპტაცია არ ეხერხება, ასე რომ ჰიუ ჰეფნერს მშვიდა შეუძლია ეძინოს.

ჰეფნერს უკვე 87 წელია მშვიდად სძინავს, უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში კი მისი ძილი ნამდვილი განცხრომაა. „პლეიბოი“ სწორედ ამდენი წლის წინ, 1953 წელს დაარდა და მას შემდეგ ჰეფნერის ფუჟერში შამპანური არ დამშრალა, ლოგნში კი ახალგაზრდა გოგონები არ დალეულან.

ჰიუ ჰეფნერი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ცოცხალი სიმბოლო, ეპატაჟური პიროვნებაა, რომელსაც სრულიად თავისუფლად შეუძლია საზოგადოებასა თუ ტელევიზიაში ხალათით, შაპნაურითა და ნახევრად შიშველი ახალგაზრდა გოგონებით გამოჩნდეს. ასეთი პრივილეგია ჰეფნერს ერთ დღეში არ მიუღია - ზედმეტად კონსერვატულ, მორწმუნე ოჯახში დაბადებულ ჰეფნერს ბევრი წინაღობის გადალახვა მოუწია იმისთვის, რომ მისი კომპანიის ლოგო „კოკა კოლასა“ თუ „მაკდონალდსის“ მსგავსად ყველაზე პოპულარული ყოფილიყო.

ჰეფნერის ოჯახში ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შესახებ ერთადერთი რკინის დებულება არსებობდა: ურთერთობა მხოლოდ გამრავლებისთვისაა საჭირო. მომავალმა მაგნატმა მთელი თავისი ცხოვრება სწორედ ამ დებულებისგან თავის დაღწევაში გაატარა და ნამდვილად მიაღწია კიდეც - ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შესახებ ჰიუ ჰეფნერმა შესაძლოა ყველაზე მეტი იცოდეს.

ახალგაზრდა ჰიუ საუნივერსიტეტო გაზეთის კარიკატურისტი იყო, იუმორის გვერდიც მიჰყავდა. სწორედ აქ გააკეთა რუბრიკა „თვის სტუდენტი გოგონა“, რომელსაც მისი ბიოგრაფები „პლეიბოის“ პირველ ნაბიჯებად მიიჩნევენ, თავად ჟურნალი კი მომავალმა მილიონერმა უკიდურესი გაჭირვებისგან თავის დასაღწევად და ოჯახის გამოსაკვებად დააარსა. ახალი საქმის წამოსაწყებად მას ინვესტიცია სჭირდებოდა, კარგი კომუნიკაციის უნარის წყალობით კი 45-მდე ინვესტორისგან 8 ათასი დოლარი შეაგროვა. ეს არ იყო დიდი თანხა, მაგარამ საქმის დასაწყებად საკმარისი აღმოჩნდა

თავიდან ჟურნალის სახელწოდების უამრავი ვერსია არსებობდა, „პლეიბოი“ უკონკურენტო აღმოჩნდა, მაგრამ მთავარი პირველი ნომრის მომზადება იყო, რადგან, როგორც ცნობილია, პირველი შთაბეჭდილების მოხდენა მეორედ შეუძლებელია. ჰეფნერს ძალიან გაუმართლა, რომ 50-იანების დასაწყისში მერლინ მონრო უკვე არსებობდა, მაგრამ ის ჯერ საქვეყნოდ ცნობილი ვარსკვლავი არ იყო, ამიტომ გოგონას გადაღებაზე დათანხმება ადვილი აღმოჩნდა. პირველი ნომერი 50 ათასიანი ტირაჟით დაბეჭდეს და ის თოთქმის პირველსავე დღეს გაიყიდა. საინტერესოა, რომ საპილოტე ჟურნალს ნომერიც კი არ ჰქონდა, რადგან ჰეფნერი არ იყო დარწმუნებული, რომ პირველს მეორე მოჰყვებოდა. თუმცა გაყიდვების მაჩვენებელმა ის კვლავ რედაქციაში დააბრუნა.

„პეიბოის“ ყდაზე მოხვედრა მალე ქალი ვარსკვლავებისთვის ოცნებად იქცა. სხვა და სხვა დროს ყდაზე მოხვდნენ ურსულა ანდრესი, ლინდა ლავლეისი, გრეის ჯონსი, რექუელ უელჩი, ბო დერეკი, სილვია კრისტელი, კიმ ბესინჯერი, ნასტასია კინსკი, ბრუკ შილდსი, პამელა ანდერსონი (8-ჯერ), შარონ სტოუნი, ელ მაკფერსონი, სინდი კროუფორდი, მადონა, ნენსი სინატრა, კატარინა ვიტი, ნაომი კემპბელი და სხვები. „პლეიბოი“ დროთა განმავლობაში ჭკვიანი, საქმიანი, სანტერესო მამაკაცების საკითხავად იქცა, რომელიც მკერდსავსე გოგონების ფოტოების გარდა საინტერესო და ექსკლუზიურ სტატიებსაც აერთიანებდა.

დღეს „პლეიბოი“ დიდი საგამომცემლო იმპერიაა, რომლის მფლობელობაშიც ღამის კლუბები, სასტუმროები, სამოდელო სააგენტოები და საკუთარი სატელევიზიო არხი შედის, ამ იმპერიის შემქმნელზე გადაღებული ფილმი კი ნამდვილად იმსახურებს მაყურებლის ყურადღებას.

ექვთიმე თაყაიშვილი 150

პირველი გვერდიდან

საქართველოს ეროვნული მუზეუმი 2013 წლის 23-27 დეკემბერს გვიწვევს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილ კვირეულზე ექვთიმე თაყაიშვილი 150“

23 დეკემბერი 17:00 - საქართველოს ეროვნული მუზეუმის და საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის ერთობლივი პროექტის დაკარგული ტექნოლოგიების კვალდაკვალ - ტიხროვანი მინანქარი“ პრეზენტაცია და ფილმის ჩვენება - საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია, ფურცელაძის ქ.1.

18:00 - გამოფენა დაკარგული ტექნოლოგიების კვალდაკვალ - ტიხროვანი მინანქარი“ - ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, შ. რუსთაველის გამზ. 3.

24 დეკემბერი 17:00 - გამოფენა ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი“

საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან - შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი, ლ. გუდიაშვილის ქ.1.

26 დეკემბერი 17:00 - გამოფენა დასავლეთ ევროპული ფერწერა ექვთიმე თაყაიშვილის საგანძურიდან“ - დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა, შ. რუსთაველის გამზ. 11.

27 დეკემბერი 17:00 - გამოფენა ექვთიმე 150“ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის, საქართველო ეროვნული არქივის კოლექციებიდან.

- გამოფენა საქართველოს არქეოლოგია ძვ.წ VIII ათასწლეულიდან ახ.წ IV საუკუნემდე“ - ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, შ. რუსთაველის გამზ. 3.

- ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კატალოგის პრეზენტაცია.

ღონისძიებებზე დასწრება თავისუფალია.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028472

შემსყიდველი	ბოლნისის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	20.12.2013 16:25
წინადადებების მიღება იწყება	24.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	26.12.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	89800 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	2014 წლის იანვრიდან 2014 წლის 20 დეკემბრამდე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	898 ლარი
გარანტიის ოდენობა	898 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028407

შემსყიდველი	შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	19.12.2013 23:10
წინადადებების მიღება იწყება	05.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	10.01.2014 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	19000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	150 ლარი
გარანტიის ოდენობა	190 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028413

შემსყიდველი	შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	19.12.2013 23:49
წინადადებების მიღება იწყება	05.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	10.01.2014 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	10500 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	90 ლარი
გარანტიის ოდენობა	105 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028406

შემსყიდველი	ქალაქ თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	19.12.2013 21:17
წინადადებების მიღება იწყება	24.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	26.12.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	2640 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	64200000-სატელეკომუნიკაციო მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	64200000-სატელეკომუნიკაციო მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	2014 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	15 ლარი
გარანტიის ოდენობა	26 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028404

შემსყიდველი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	19.12.2013 19:15
წინადადებების მიღება იწყება	24.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	26.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	4000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	64200000-სატელეკომუნიკაციო მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	64200000-სატელეკომუნიკაციო მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	50 ლარი
გარანტიის ოდენობა	40 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028409

შემსყიდველი	შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	19.12.2013 23:16
წინადადებების მიღება იწყება	05.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	10.01.2014 14:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	10100 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	90 ლარი
გარანტიის ოდენობა	101 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შესახებ № CON140000005

შემსყიდველი	კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	19.12.2013 23:56
წინადადებების მიღება იწყება	23.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	24.12.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1.82 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	09100000-საწვავი
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	09134200-დიზელის საწვავი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	საორიენტაციო მოცულობა 9 000 000 ლიტრი
მოწოდების ვადა	2014 წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	.01 ლარი
გარანტიის ოდენობა	1 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028412

შემსყიდველი	შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	19.12.2013 23:45
წინადადებების მიღება იწყება	05.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	10.01.2014 15:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	800 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	9 ლარი
გარანტიის ოდენობა	8 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

ორმაგი ლებრონი

ზურა თალაკვაძე

ფაქტები მიმდინარე რეგულარულის ბოლო ტესტებიდან.

«მაიამიმ“ «იუტას“ 117:94 აარტყა და ლებრონ ჯეიმსმა 30 ქულა დაირტყა. დუეინ უეიდმა - 27. კრის ბოშმა - 20. და სამივემ, თამაშიდან სროლების მინიმუმ 60 პროცენტი გამოიყენა. კლასიკა. მეორედ «მაიამის“ მკვლელი სამეულის ისტორიაში ხიეს ბიჭებმა 20-20-20 და 60%-60 %-60 %. მანამდე, შარშან, 30 მარტს «ტორონტოსთან“. კლასიკა. ლებრონმა 9 პასი და 9 მოხსნაც დაიტოვა. ჯეიმსი მეგამონსტრი იყო. ნუ, ლებრონი ძირითადად მეგამონსტრია.

114:107 «კლივლენდთან“. დეჟა ვიუ. ლებრონისგან. და ლებრონისთვის. ჯეიმსი 25 ქულას იღებს. უეიდის კოლექციაში 24 ქულა შევიდა. ბოშმა 22 დასვა. ოცდამეცამეტედ დიდი სამეულის ისტორიაში აკრიფეს ბიჭებმა მინიმუმ 20-20 ქულა. ჯეიმსმა 9 მოხსნა და 9 პასიც იჩუქა. ლებრონი ახლოს იყო კიდევ ერთ სამმაგ დუბლთან და ეს ლებრონის ტერიტორია, დიდი ბიჭის უბანია. თუ ჯეიმსი, უეიდი და ბოში ერთ თამაშში (მინიმუმ) 20-20 ქულას დებენ, «მაიამი“ თითქმის არ აგებს (28:5). და ჯეიმსმა ეს იცის. ლებრონის უბანში საღამოს გასეირნება სახიფათოა. იქ გატკენენ. იქ ტკივილი ჯეიმსია და ლებრონი ამ გენერაციის ალ კაპონე გახდა. იღებს ყველაფერს, რაც სურს.

«მაიამის“ შეცდომებიც აქვს. «ინდიანასთან“ გუნდმა შარშან მაგარი სერია წამოიღო. 4:3. პოლ ჯორჯმა ლებრონ ჯეიმსის საუკეთესო ინტერპრეტაცია გაგვაცნო და ორიგინალი ჯეიმსი მაინც უკეთესი იყო. ორიგინალი ყოველთვის უკეთესია. და ჯეიმსის ბენდი «პეისერზმა“ 90:84 გააჩერა. იმ დაპირისპირებაში ლებრონმა 17 ქულა (14 მოხსნა და 6 პასიც) დადო. უეიდიც 17 ქულას იღებს და ბოშის ყულაბაში 12 ქულა ჩაიყარა. «მაიამის“ დიდი სამეულის პირველი წაგება, როდესაც ვერცერთი ტრანსფორმერი ვერ ადის 20 ქულამდე. «ინდიანა“ წელს სახიფათოა. და ლებრონმა ეს იცის. ლებრონმა ეს შარშან გაიგო და ის ჯეიმსი უფრო მომთმენი იყო. ის «ინდიანაც“ დასახვეწი იყო. და წელს «პეისერზმა“ ლუის სკოლა მიიღო. არგენტინელი ასრულებს. და არგენტინელმა მოგება იცის. ნებისმიერ დონეზე. «მაიამის“ კარგი სერია ექნება.

ჯეიმსი: „ინდიანა“ შეიცვალა. და შეიცვლება „მაიამიც“. თუ სხვები უმატებენ, ჩვენ ამას ვხედავთ და ვცდილობთ, მოწინააღმდეგეს მისი ყველაზე სახიფათო მოთამაშე წავართვათ, ჩვენ ზონაში შესვლის სურვილი გავუქროთ. უბრალოდ, ის მოთამაშე არ უნდა არსებობდეს. ან, მას დისკომფორტი უნდა შევუქმნათ და თუ „მაიამი“ მაინც აგებს, მწვრთნელი სპოელსტრა არ ჯდება უხასიათობის დიეტაზე. მწვრთნელი სპოელსტრა ჩვენი მეგობარია და გუნდი მას ბოლომდე ენდობა. შარშან, როდესაც „სან ანტონიომ“ სერიაში 3:2 წაიყვანა და მეექვსე თამაშშიც წინ იყო, წუთშესვენების დროს (რეი) ალენმა უთხრა მწვრთნელს, არ ინერვიულო, მეშვიდე თამაშზე იფიქრე და მეექვსეს ჩვენ მივხედავთ... რეიმ პრობლემა მოაგვარა და მწვრთნელი ბედნიერი იყო. ყველაფერი კარგად დასრულდა.“

ჯეიმსი არ იცვლება. რეალურად, «მაიამი“ ჯერ სიტუაციას აკვირდება. არ არის აუცილებელი დაიღალო და აპრილისთვის აზრზე მოსვლა ვერ მოასწრო. ლებრონმა ეს პირველი წაგებული სუპერფინალის დროს ისწავლა. იმ სერიაში ერთმა ბიძამ პატარა ლებრონს ყური აუწია. ის ბიძა ბრიუს ბოუენი იყო. იმ ბიძამ ლებრონს აწყენინა. ბოუენები ლებრონებს ერთჯერადად ჭრიან. შემდეგ ის ჭრილობები ხორცდება და არენაზე ახალი გლადიატორი გადის. რომელიც არ ელოდება ბრბოს. თუ ჯეიმსი ხედავს, რომ მეორე გლადიატორი სისხლისგან იცლება, ჯეიმსი მას ეხმარება. ლებრონი მას ეხმარება იმისათვის, რომ იმ, მეორე გლადიატორმა დანარჩენებს მიუტანოს ამბავი. ლებრონის ამბავი. თუ რამდენად დაუნდობელი და დიდსულოვანია მეფე.

ლიგაში ბევრი რაღაც იცვლება. და ბევრი რაღაც არ, ვერ იცვლება. ალბათ, არ შეიცვლება რასელ უესთბრუქი და ეს კევინ დიურანის დილემა, პრობლემა არის. ალბათ, არ შეიცვლება რიკი რუბიო და ეს «მინესოტას“ ბონუსია. ალბათ, არ შეიცვლება მეტ ბონერი და ეს ყველას ცალ ფეხზე ჰკიდია. ალბათ, ვერ შეიცვლება დევიდ სტერნი და მისტერ სტერნი უკვე ისტორია, ამერიკული ლიგის მანუსკრიპტია. და ვერ შეიცვლება ლებრონ ჯეიმსი. ბიჭს ახსოვს წაგებული ფინალები და ბიჭი ივიწყებს მოგებულ ფინალებს. და მოდის ახალი მოტივაცია. ლებრონმა უნდა მოიგოს. ბევრი უნდა მოიგოს. ყველაზე მეტი უნდა მოიგოს. ჯეიმსი ვერ ამჩნევს სხვებს და ჯეიმსი ამ ამბავში ცოტა ეგოისტია. ლებრონი არ დაგიგვიანებს პასს და ლებრონი მეორე გუნდის ტიპებს ვერ ამჩნევს. ადრე ამჩნევდა და შემდეგ, აზრი შეეცვალა. რატომ უნდა დაუთმო დრო იმას, ვინც შენზე უარესია და შენს წინააღმდეგ თამაშობს? არც უთმობს. და ჯეიმსი დაუნდობელი მასტია.

«მაიამიმ“ გატესტა გრეგ ოდენი, ლიგის ისტორიაში ყველაზე მდიდარი ხეიბარი ვერ აათამაშა და «მაიამი“ მაინც მონსტრია. კარგი ცენტრის გარეშე «ჰიტი“ სხვების კარგ ცენტრებს ფარავს. ბოლო გუნდი, რომელიც დომინანტი მეხუთე ნომრის გარეშე გკლავდა, მაიკლ ჯორდანის «ბულზი“ იყო და იმ ბანდაში დენის როდმანი აგვარებდა. სკოტი პიპენთან ერთად. ან სკოტი აგვარებდა დენისთან ერთად. და «ბულზის“ მეორე ინკარნაციაში იყო მონდომებული ტიპი, რონ ჰარპერი. რომელიც ჯორდანის მაჯას და ნერვებს უფრთხილდებოდა. ჰარპერიც მოთამაშე-მწვრთნელივით საუბრობდა და გიხსნიდა ყველაფერს. რონს უყვარდა თეორია და მაიკლს უყვარდა რონი. იდეალური გუნდი. ჯეიმსი ცდილობს, რომ «მაიამიც“ იდეალური გახდეს. იმ «ბულზამდე“ მისვლა რთულია, მაგრამ ჯეიმსი ცდილობს. ლებრონი ჯიუტი ახალგაზრდაა.

ჯეიმსი: „მაიკლ ჯორდანი სხვა დონეზე გავიდა. მახსოვს პირველი დრიმ თიმი. ლარის, მეჯიქის, მაიკლის გუნდი... ჩემთვის ის გუნდი საუკეთესოა. ჩვენი ნაკრებიც იგებს, მაგრამ ჯორდანის ნაკრები უფრო თავისუფლად აკეთებდა ყველაფერს. გადიხარ მოედანზე და იცი, რომ შენი მოწინააღმდეგის პირველ ხუთეულში არიან ჯორდანი, ბერდი, მეჯიქი და ჩარზლ ბარკლი. ვერ ასწრებ ვერაფერზე ფიქრს და უბრალოდ, ცდილობ მიიღო სიამოვნება. ეს სიამოვნება რჩება და ეს არ არის ერთჯერადი განცდა. ალბათ, ჯორდანი ყველა დროის საუკეთესოა, მაგრამ ყველა ასე არ ფიქრობს. ზოგისთვის უილტია საუკეთესო. ზოგისთვის ბილ რასელის 11 მოგებული სუპერფინალი უფრო მნიშვნელოვანია. ეს მართლა არაამქვეყნიური იყო... წარმოიდგინეთ, ბილი თერთმეტჯერ გახდა ჩემპიონი! და ჩვენ „მაიამის“ დომინაციაზე ვსაუბრობთ? ჯერ ადრეა. ჯერ „ჩიკაგომდე“ მივიდეთ. უკვე ამის შემდეგ შეიძლება რასელის „ბოსტონზე“ საუბარი, არა?“

სამბოში საქართველოს თასი გათამაშდა

სამბოს ფედერაციის ორგანიზებით, 2013 წლის სპორტული სეზონის ფინიშზე საქართველოს თასი (პირადი პირველობა) ჩატარდა. დიღომში მდებარე ძიუდოს აკადემიის სპორტულ დარბაზში ჩემპიონები და პრიზიორები 9 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. შეჯიბრებას ესწრებოდნენ სამბოში სხვადასხვა თაობის მსოფლიო ჩემპიონები და გამოჩენილი მწვრთნელი, 92 წლის ქრისტეფორე ნინიაშვილი.

შეჯიბრების დასრულებისთანავე ეროვნული ნაკრები გუნდის 8 სამბისტი მთავარი მწვრთნელის, ჯონდო მუზაშვილის ხელმძღვანელობით, მოსკოვში გაემგზავრა A კატეგორიის სამბისტთა საერთაშორისო ტურნირზე საასპარეზოდ.

საქართველოს თასი:

52 კგ.
1. დიმიტრი მულაძე (შიდა ქართლი)
2. გივი ნადარეიშვილი (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
3 იოსებ მელაძე (თბილისი)
3. ლევან ბერბერაშვილი (მცხეთა-მთიანეთი)

57 კგ.
1. გენადი ჩირგაძე,
2. ილია ტყეშელაშვილი
3. იაგო დიხამინჯია,
3. ივანე გაჩეჩილაძე (ყველა - იმერეთი).

62 კგ.
1. ზვიად ოდოშაშვილი (შიდა ქართლი)
2. შმაგი ლაგაზაური (კახეთი)
3. რევაზ შველიძე (თბილისი)
3. ვარლამ შალიკაშვილი (იმერეთი)

68 კგ.
1. ბექა ტუღუში (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
2. მინდია ლილუაშვილი (იმერეთი)
3. ზაზა პირველი (ქვემო ქართლი)
3. გოჩა ვარძელაშვილი (შიდა ქართლი).

74 კგ.
1. კახა მამულაშვილი (შიდა ქართლი)
2. ბესარიონ ბერულავა (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
3. ლევან ნახუცრიშვილი (თბილისი)
3. ზვიად კაპანაძე (შიდა ქართლი)

82 კგ.
1. ნიკო კუცია (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
2. ზაურ გაგნიძე (ქვემო ქართლი)
3. გიორგი პაპუნაშვილი
3. გიორგი დილებაშვილი (ორივე - შიდა ქართლი)

90 კგ.
1. დავით კარბელაშვილი
2. პაატა ღვინიაშვილი (ორივე - შიდა ქართლი)
3. სოსო იარაჯული
3. ფრიდონ ზურაბიანი (ორივე - მცხეთა-მთიანეთი)

100 კგ.
1. დავით ლორიაშვილი (ქვემო ქართლი)
2. ლაშა გურული (იმერეთი)
3. გიორგი ბოლოთაშვილი (შიდა ქართლი)
3. იასონ ნემსაძე (იმერეთი)

+100 კგ.
1. გიორგი ნოზაძე (შიდა ქართლი)
2. ბექა ბერძენიშვილი (მესხეთ-ჯავახეთი)
3. გიორგი ლაზუაშვილი (იმერეთი)
3. ამბროსი კონკროშვილი (თბილისი)

მესი «ბარსას» ვიცე-პრეზიდენტს

„ბარსელონას“ არგენტინელი თავდამსხმელი ლიონელ მესი კატალონიური კლუბის ვიცე-პრეზიდენტს, ეკონომიკის საკითხებში, ხავიერ ფაუსის სიტყვებს ეხმაურება, რომელმაც განაცხადა, რომ ფეხბურთელებთან ყოველ 6 თვეში ხელშეკრულების გახანგრძლივება მიზანშეწონილი არაა.

საქმე ის არის, რომ ცოტა ხნის წინათ, ფაუსმა განაცხადა, რომ ის მესისთან ახალი ხელშეკრულების გაფორმების საჭიროებას ვერ ხედავს, რადგან დაუშვებელია, კლუბმა ფეხბურთელის ხელშეკრულება ყოველ 6 თვეში ერთხელ განაახლოს. სწორედ ამ განცხადებას ეხმაურება მესი: „ფაუსი ფეხბურთის გაგებაში არაა. ის ცდილობს, „ბარსელონა“ ისე მართოს, თითქოს ეს ბიზნესპროექტი იყოს. ეტყობა, მან არ იცის, რომ ეს ბიზნესზე მეტია.

„ბარსელონა“ მსოფლიოში საუკეთესო კლუბია და იმსახურებს, რომ მასში მსოფლიოს საუკეთესო მმართველები მუშაობდნენ.

არც მე და არც ერთი ჩემი თანაგუნდელი ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ ვითხოვდით, რაც ფაუსმა ძალიან კარგად იცის».

დღესდღეობით მესი არგენტინაშია, სადაც ტრავმას იშუშებს. ექიმების გათვლებით არგენტინელი ვარსკვლავი მწყობრში დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ჩადგება.

სუარესი «ლივერპულის» ისტორიაში ყველაზე მაღალანაზღაურებადია

სუარესი «ლივერპულის» ისტორიაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდა. დღეისი იქით, 26 წლის ურუგვაელ თავდამსხმელს «წითლებთან» ხელშეკრულება 2018 წლამდე აკავშირებს.

«ტელეგრაფის» ცნობით, სუარესი კვირაში 200 ათას ფუნტ სტერლინგამდე მიიღებს!

ურუგვაელი თავდამსხმელი «ლივერპულის» ღირსებას 2011 წლის იანვარიდან იცავს. მას შემდეგ სუარესმა 88 შეხვედრაში 55 გოლი გაიტანა, პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში კი 11 შეხვედრაში 17 ბურთი და 7 საგოლე პასი მიითვალა.

წონებში თამაში სანახაობას გაზრდის

პირველი გვერდიდან

«ძირეული ცვლილებებისკენ ჭიდაობის უკეთესი მომავლისთვის გადავდგით ნაბიჯი. დარწმუნებული ვარ, ახალი წესები სანახაობრივ მხარეს ბევრად გააუმჯობესებს. გავითვალისწინეთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რჩევები, რომლებიც ითვალისწინებდა ვაჟთა და ქალთა წონების გათანაბრებას, რაც გენდერული ბალანსის დაცვისკენ იყო მიმართული. წონით კატეგორიებში შევიტანეთ ცვლილებები, რაც ფილას ტექნიკური კომისიის წევრების დაუღალავი შრომის შედეგია», - აცხადებს ნენად ლალოვიჩი.

საქმე ის არის, რომ, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, რიოს ოლიმპიურ თამაშებზე თავისუფლები, ბერძენ-რომაელები და ქალი მოჭიდავეები, შვიდის ნაცვლად, ექვს წონით კატეგორიაში გაითამაშებენ მედლებს. ბერძენ-რომაელებს ოლიმპიურ ხალიჩაზე საასპარეზოდ 59, 66, 75, 85, 98 და 130 კგ წონითი კატეგორიები ექნებათ. თავისუფალ ჭიდაობაში წონითი კატეგორიები - 57, 65, 74, 86, 97 და 125 კილოგრამებადაა დაყოფილი, ხოლო ქალებს ექნებათ 48, 53, 58, 63, 69 და 75 კგ წონითი კატეგორიები.

ფილას მიერ შედგენილი ახალი წონითი კატეგორიები ჩვენთვის კარგიცაა და ცუდიც. წონაში დაკლების თუ მომატების პრობლემა ჩვენთან ყოველთვის იყო. ახალი წონითი კატეგორიები მხოლოდ მათ აძლევთ ხელს, ვისაც წონაში დაკლება უჭირს. ძნელი იქნება მათთვის, ვისაც სასურველ წონამდე მომატება უჭირს.

არის კიდევ ერთი ცვლილება, რომლის მიხედვით, ჭიდაობის მაღალჩინოსანთა გადაწყვეტილებით, ჩამოთვლილ წონით კატეგორიებს კონტინენტურ ჩემპიონატებსა და გრან-პრის ტურნირებზე დაემატება ორი წონა. კერძოდ, ბერძენ-რომაელებს ექნებათ 71 და 80, თავისუფლებს - 61 და 70, ხოლო ქალები 55 და 60 კილოგრამებში იბრძოლებენ. ანუ თუ აქამდე 7 წონაში თამაშდებოდა მედლები, ახალი წლიდან ჩემპიონ-პრიზიორობისთვის ორთაბრძოლები 8 წონაში გაჩაღდება.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ნაკრებები ევროპის ჩემპიონატზე კვლავაც საქართველოს ჩემპიონებით დაკომპლექტებული გუნდით გაემგზავრება. ერთადერთი მერვე წონაში იქნება დამატებითი საკონტროლო შეხვედრის ჩატარება, რათა ევროპირველობაზე სრული გუნდით გავემგზავროთ.

ცვლილებები ძალაში შევა 2014 წლიდან, ისევე როგორც განახლებული საჭიდაო წესები, რომელმაც ჭიდაობა უფრო სანახაობრივი უნდა გახადოს. მაგალითად,

თუ აქამდე ორთაბრძოლა ვადაზე ადრე ერთი მოჭიდავის 7-ქულიანი უპირატესობისას წყდებოდა, ახალი სეზონიდან თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს 10 ქულით დაწინაურება დასჭირდებათ, ბერძენ-რომაელებს კი - 8 ქულით. ყველაფერმა ამან, წესით, ტექნიკური მხარე წინ უნდა წამოწიოს.

თუ მსაჯთა მაგიდა რომელიმე მხარის პროტესტის შემდეგ ხალიჩაზე მსაჯის პირვანდელ გადაწყვეტილებას შეცვლის, მსაჯსაც გააფრთხილებს, ხოლო თუ იმავე შეხვედრაში ასეთი რამ განმეორდა, ხალიჩის მსაჯი მოიხსნება.